პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 მარტი, სამშაბათი, 1988 წ. № 57 (9724) ⊙ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიადისწინა შეჯიბრებებში

## გედეხაური, ხაბელოვი, თენაძე...







**ნოისე** (გფრ). ოლიმპიადამდე ექვსი თვით ადრე მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები (კლასიკური, თავისუფალი სტილი და ძიუდო) ინტენსიურად მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირებში. ერთ-ერთ ასეთ ტურნირში, რომელიც მიზნად ისახავდა ძალთა შემოწმებას, შესაძლებლობები მოსინჯა მსოფლიოსა და ევროპის ბევრმა ჩემპიონმა. მათ შორის იყვნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებიც.

„კლასიკოსთა" ტურნირში პირველი ადგილი შვიდმა საბჭოთა ათლეტმა დაიკავა: სერგეი სუვოროვმა (48 კგ, ომსკი), ალექსანდრე იგნატენკომ (52, ომსკი), ვალერი პერმინოვმა (62 კგ, მოსკოვი), ბესოლტ დეციევმა (74 კგ, ჩიმკენტი), მიხეილ მამიაშვილმა (82 კგ, მოსკოვი), პაველ პოტაპოვმა (90 კგ, ულიანოვსკი), გურამ გედეხაურმა (100 კგ, თბილისი) და ალექსანდრე კარელინმა (130 კგ, ნოვოსიბირსკი).

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს: ვლადიმერ ტოგუზოვმა (52 კგ, ორჯონიკიძე), სტეფან სარქისიანმა (62 კგ, კიროვაკანი), არსენ ფაძაევმა (68 კგ, ტაშკენტი), ასლან ვარაევმა (74 კგ, გროზნო). ლერი ხაბელოვმა (100 კგ, თბილისი) და ასლან ხადარცევმა (130 კგ, ტაშკენტი).

გდრ-ში კი ძიუდოისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა. გამარჯვებულთა შორის არის ორი საბჭოთა ათლეტი — გორელი გიორგი თენაძე (71 კგ) და კურსკელი ალექსანდრე სივცევი (86 კგ).

• • •

**სურათებზე:** მარცხნიდან — გურამ გედეხაური, ლერი ხაბელოვი და გიორგი თენაძე.

ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში ვაჟთა შორის

## გაბრიჩიძე — ოლხოვსკის წყვილი

**მოსკოვის** „დრუჟბას" უნივერსალურ სპორტკომპლექსში დამთავრდა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში ვაჟთა შორის.

ერთეულთა თანრიგის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ 17 წლის უფელი ანდრეი ჩერკასოვი და მოსკოველი ანდრეი ოლხოვსკი. ოთხ პარტიაში გამარჯვება ჩერკასოვმა მოიპოვა — 3:6, 6:2, 6:4, 6:3. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა შარშანდელ ზამთრის ჩემპიონატში გამარჯვებულ მოსკოველ ალექსანდრე ზვერევს.

წყვილთა შეხვედრებში აშკარად იგრძნობოდა თბილისელი ვლადიმერ გაბრიჩიძისა და ანდრეი ოლხოვსკის უპირატესობა. მათ დამაჯერებლად მოიგეს ყველა წინასწარი შეხვედრა, ფინალში კი ზვერევი და რიგელი გირდ ძელდე დაამარცხეს — 6:3, 7:5. გაბრიჩიძესა და ოლხოვსკის ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები გადაეცათ. მესამე ადგილი წყვილთა ტურნირში დიმიტრი პოლიაკოვმა (ხარკოვი) და ანდერს ვისანდმა (ტალინი) დაისაკუთრეს.

## და კიდევ, იუნიორთა 15 მედალი

**კიშინიოვში** გამართული ახალგაზრდა ძიუდოისტთა საკავშირო პირველობა ქართველ ფალავანთა შესანიშნავი წარმატებით დამთავრდა. 9 წონით კატეგორიაში გათამაშებული 36 მედლიდან 15 მათ დაისაკუთრეს. მართლაც იშვიათი შედეგია, ამასთან, ჩვენი 5 სპორტსმენი ჩემპიონი გახდა. სამი მათგანის — დ. ხახალეიშვილის, ქ. გურეშიძისა და დ. ბაგაურის გამარჯვების შესახებ უკვე გაცნობეთ. მათ გარდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ლენტეხელი კახა ქურასბედიანი (60 კგ) და თბილისელი ვალერი პარუნაშვილი (აბსოლუტური წონა).

დაწვრილებით ამ შეჯიბრების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში მოგითხრობთ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

## შინ ექვსი ქულა

### II წრე, IV ტური

თბილისი. საქართველოს სპორტსახკომის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი) 6:12 (1:4, 1:3, 3:2, 1:3).

„დინამო" (თბილისი): მიხეილ გიორგაძე, ზუმბულიძე, ბალათურია, გვახარია, კუტივაძე, კანდელაკი, მაჭავარიანი; მათ გარდა თამაშობდნენ: მიხეილ გიორგაძე II, ბითაძე, ნიკოლაიშვილი, რამიშვილი.

„დინამო" (მოსკოვი): პუზანკოვი, მენდიგალიევი, გრიშინი, აპანასენკო, ნიკიფოროვი, ვორონინი, ივანოვი; მათ გარდა თამაშობდნენ — მშვენიერაძე, ივლევი, ლისიცინი, კონსტანტინოვი, განიევი.



**თბილისში** გაცილებით ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი, ვიდრე ძერჟინსკის ჯგუფში, სადაც დაწინაურებული ექვსეულის წარმომადგენელთაგან მხოლოდ ორი გუნდი ასპარეზობდა. და, მაინც ვვარაუდობდით, რომ თბილისელებს 8 ქულის მოპოვება ძალუძდათ.

იხ. მე-2 გვ.

**სეული.** მოკრივეთა აქ დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში საბჭოთა სპორტსმენებმა ხუთი პირველი ადგილი დაიკავეს. ესენია: კიროვაკანელი მიხაკ კაზარიანი (57 კგ), სეროველი კონსტანტინე ცზიუ (60 კგ), ვორონეჟელი ვლადიმერ ერეშჩენკო (67 კგ), გროზნოელი უსმან არსალიევი (91 კგ) და კუსტანაელი ალექსანდრე მიროშნიჩენკო (მძიმე).

**პარიზი.** დაიწყო მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ჩემპიონატი. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელიც პირველ ჯგუფში ასპარეზობს, დაამარცხა გფრ-ის (5:2), ბელგიისა (5:0) და პოლონეთის (5:2) გუნდები. 3 მოგება აქვთ შვეციის სპორტსმენებსაც. მეორე ჯგუფში დაწინაურდნენ ინგლისელი მაგიდის ჩოგბურთელები.

ტელეტაიპი - მკითხველი

**ადელაიდა.** ავსტრალიის ამ ქალაქში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი 15 კილომეტრზე საგზატკეცილო რბენაში. პირად ჩათვლაში ოქროს მედალი ნორვეგიელმა ინგრიდ კრისტიანსენმა მოიპოვა, გუნდური გამარჯვება კი საბჭოთა ნაკრებს ხვდა წილად.

## ჭიდაობა 2 აპრილს განახლდება

ქართულ ჭიდაობაში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობა თბილისის სახელმწიფო ცირკში განახლდება შაბათს, 2 აპრილს. ერთმანეთს ხვდებიან: ერედვი (სამხრეთ ოსეთი) — ნორიო (გარდაბანი); ჯანდარი (გურჯაანი) — ბაზალეთი (დუშეთი); წინანდალი (თელავი) — ვაყა (ხაშური). დასაწყისი 12 საათზე.

თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზზე ⊙ კალათბურთი

## უბნებს შორის

ეს ინიციატივა თბილისის კომკავშირის საქალაქო კომიტეტს ეკუთვნის და პრიზიც, ცხადია, მან დააწესა. ქალაქის უბნების კალათბურთელთა პირველი ჩემპიონატის მონაწილენი ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. პირველ ჯგუფში თამაშობენ: ვაკე, თემქა, კრწანისი, გლდანი და საბურთალო, მეორეში — ვერა, დიდუბე, განთიადი, ვაზისუბანი და საქარხნო მიკრორაიონი.

ჩატარდა პირველი და მეორე ტურის შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: ვაკე — თემქა 78:37 (43:18), საბურთალო-კრწანისი 72:24 (39:10), ვერა — დიდუბე 77:57 (37:20), საქარხნო მიკრორაიონი — განთიადი 74:58 (37:30).

ვაკე — კრწანისი 92:35 (54:12), გლდანი — თემქა 64:55 (26:23), ვერა — საქარხნო მიკრორაიონი 75:50 (41:25), დიდუბე — ვაზისუბანი 63:28 (41:10).

პირველ ჯგუფში ჯერჯერობით ლიდერობს ვაკე, მეორეში — ვერა.

23 და 24 მარტს კალათბურთის სასახლეში (კიროვის სახელობის პარკი) მესამე და მეოთხე ტურის შეხვედრები გაიმართება. დასაწყისი — 18.00 საათზე.

## სამი მედალი ორ შეჯიბრებაში

ამ დღეებში საქართველოს ნორჩი წყალში მხტომელები ორ საკავშირო შეჯიბრებაზე გამოდიოდნენ და პირად პირველობაში ორივეგან წარმატებას მიაღწიეს.

**ერევანში** თავი მოიყარეს პროფკავშირული სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებმა, რომლებიც ორ ასაკობრივ ჯგუფში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. უფროსი ასაკის სპორტსმენმა, თბილისელმა ნანა ნებიერიძემ ყველას აჯობა ტრამპლინიდან და კოშკიდან ხტომაში, ხოლო მისი თანაგუნდელი გოჩა გახარია კოშკიდან ხტომაში იმავე ასაკის სპორტსმენთა შორის ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

**ლვოვში** გამართულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე, კოშკიდან ხტომაში, მესამე ადგილი დაიკავა ასევე თბილისელმა მიხეილ არაქელოვმა.

## საიუბილეო კონფერენციაზე

საუკეთესო მეცნიერული ნაშრომის გამოვლენა — ასეთი იყო სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მიზანი, რომელიც 17-18 მარტს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში ჩატარდა.

აქ უკვე დიდი ხანია ტრადიციად იქცა ასეთი ღონისძიებების ჩატარება, მაგრამ წლევანდელი კონფერენცია იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა.

ინსტიტუტის 19 კათედრამ კათედრალურ კონფერენციაზე გამარჯვებული 54 საუკეთესო ნაშრომი წარმოადგინა, რომლებიც თემატიკის მიხედვით საზოგადოებრივ-პოლიტიკური მეცნიერებების, ფიზიკური აღზრდის თეორიის მეთოდიკის და სპორტული წვრთნის პრობლემების, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მედიკო-ბიოლოგიური პრობლემების სექციებად დაიყო.

ჟიურიმ საუკეთესო მოხსენებებად აღიარა სტუდენტების გიორგი კოსტავასა და ზვიად ხორგუანის ნაშრომი „სხვადასხვა კვალიფიკაციის მოჭიდავეთა საერთო და სპეციალური მუშაობისუნარიანობის საკითხისათვის" და გოჩა ჩაჩავას — „ბავშვებში ცაციაობის საკითხის დადგენისათვის".

ორივე გამარჯვებული ნაშრომი სტუდენტთა 34-ე საკავშირო კონფერენციაზე გაიგზავნება, რომელიც 18-22 აპრილს ტაშკენტში გაიმართება. „არ ყოფილა შემთხვევა ჩვენი სტუდენტების ნაშრომებს საკავშირო კონფერენციაზე საპრიზო ადგილები არ მოეპოვებინოთ. — გვითხრა ინსტიტუტის პრორექტორმა სამეცნიერო დარგში გურამ ძაგანიამ. — იმედია არც წელს შევირცხვენთ თავს".

**ნინო სიმონიშვილი.**




ელისო ბედოშვილი ასპარეზობისას.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ელისო ბედოშვილის ბედნიერი წელიწადი

**თბილისში.** ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში, დამთავრდა ქალაქის ღია პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში. ასპარეზობაში თბილისის, ბათუმის, რუსთავისა და პერმის 50-მდე სპორტსმენი გამოდიოდა.

სამწუხაროდ, მონაწილეთა შორის არ იყვნენ ბოლო წლების ლიდერები ირმა ყიფშიძე და ნატო ლეშკაშელი, რომლებიც ტრავმირებულნი არიან.

სამდღიანი ბრძოლა აბსოლუტური პირველობისათვის მრავალჭიდში ოსტატთა შორის დამთავრდა რესპუბლიკის ნაკრების წევრის, შეიარაღებული ძალების წლევანდელი ჩემპიონის ელისო ბედოშვილის გამარჯვებით. ოსტატობის კანდიდატებში უძლიერესი იყო საქართველოს ახალგაზრდული გუნდის წევრი ბელა ქელიაევა.

„ლელოს" კორ.

## საქართველოს თასის გათამაშება აკადემიურ ნიჩბოსნობაში

# ვინც „გასაუბრებაზე“ ჩაიჭრება...

„სერიოზული გასაუბრება გამოცდის წინ“ — ასეც შეიძლება ვუწოდოთ ამ სიახლეს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, აკადემიურ ნიჩბოსანთა რესპუბლიკური შეჯიბრების წინ საერთო ფიზიკური მზადყოფნის ნორმატივების ჩაბარება კარგად დავიწყებული ძველი უფროა, ვიდრე სიახლე. სამწუხაროდ, სპორტსმენთა მომზადების ანუ ადგილებზე მომუშავე მწვრთნელთა საქმიანობის შემოწმების ამ საუკეთესო საშუალებას ამ ბოლო დროს იშვიათად მიმართავდნენ, ახლა კი წესად იქცა: ნიჩბოსნები ჯერ სირბილსა და სიმძიმეების აწევაში ცდიან ძალას, შემდეგ კი წყალზე ეჯიბრებიან ერთმანეთს. ვინც ამ „გასაუბრებაზე“ ჩაიჭრება, ე. ი. ნორმატივებს ვერ ჩააბარებს, ცხადია, გაცურვებში მონაწილეობის უფლებას დაკარგავს.

საქართველოს თასის გათამაშებაც, რომელიც ამასწინათ გაიმართა ფოთში, ამ წესით მოეწყო და მოასპარეზეთა რიგები სწორედ ამან შეათხელა. ზოგიერთ რბოლაში იმდენი ეკიპაჟი გამოდიოდა, ერთი კვარცხლბეკიც კი არ „დაკომპლექტდებოდა“.

ქალთა შორის ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით შეჯიბრების სტარტზე ორი ეკიპაჟი გამოვიდა, ფინიშთან კი ერთი, სოხუმელების — სვეტლანა იგონინასა და ოლგა სოლდატოვას წყვილი მიცურდა. მათ ბათუმელ მეტოქეებს დისტანციაზე ნავი გადაუტრიალდათ.

ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით ასპარეზობაშიც პირველი ადგილი წილად ხვდათ სოხუმელ გოგონებს, მაგრამ ამჯერად ტატიანა არლვლიანი, ოლგა მელაძე, ნატაშა ოსიპოვა და დალი გახარია „არავის შეუწუხებია“ — ისინი სტარტიდან ფინიშამდე ეულად მიცურავდნენ.



ვაჟთა პირველ რბოლაში, ორადგილიანი გასაშლელი ნავებით ასპარეზობაში, თბილისელებმა იმარჯვეს. თეიმურაზ დარსაველიძემ და იოსებ სულიკაშვილმა მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ფოთელთა და ქუთაისელთა ეკიპაჟებს შესაბამისად 40 და 42 წამით აჯობეს, ასეთივე „ტევადობის“ მესაჭიან ეკიპაჟებში კი ქუთაისელებმა — პაატა სიხარულიძემ, კახა სანიკიანმა და გოგი ღურჭუმელიძემ იყოჩაღეს. მათ უფრო დიდი უპირატესობით აჯობეს თბილისის, ბათუმისა და ფოთის ეკიპაჟებს.

მეხუთე გაცურვაში, ოთხადგილიანი გასაშლელი უმესაჭო ნავებით რბოლაში აქამდე ჩრდილში მდგომმა ფოთელებმა გამოიჩინეს თავი. ფინიშის ხაზი პირველებმა გადაკვეთეს სერგეი დობროვმა, იგორ კირპიტნიოვმა, ალექსეი აბრამენკოვმა და ალექსანდრე ელიზაროვმა. მათი და მათი მეტოქეების — ბათუმელი, სოხუმელი და თბილისელი ნიჩბოსნების ბრძოლა ამჯერად უფრო თანასწორი იყო. უმესაჭო ოთხეულებში ბოლო ადგილზე გასულმა თბილისელებმა მესაჭიან „კვარტეტთა“ შეჯიბრებაში აიღეს რევანში. ზაზა კეთილაძემ, გიორგი გარაშვილმა, მიხეილ ოგანოვმა, გიორგი ხაჩირაშვილმა და იგორ ზარგარიანმა მეორე ადგილზე გასულ ფოთელთა ეკიპაჟზე 4 წამით ადრე გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. მესამე ადგილი დაიკავეს ქუთაისელმა სპორტსმენებმა, რომლებიც დაწინაურებულებს ერთ წუთზე მეტით ჩამორჩნენ.

ერთი და ორადგილიანი ნავებით შეჯიბრებაშიც თბილისელმა ჭაბუკებმა იყოჩაღეს. პირველ სახეობაში გაიმარჯვა გოჩა ელყანიშვილმა, მეორეში (ორადგილიანი უმესაჭო) — ზაზა ბირკაძემ და რევაზ ნიშნიანიძემ. გოგონათა შორის ერთადგილიანი ნავებით ასპარეზობაში საუკეთესო იყო ბათუმელი ირინა ნაუმოვა.

ბოლო ორი რბოლის განაცხადში დასახელებული იყო ორ-ორი ეკიპაჟი. ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით გაცურვაში ფოთელებმა — გოდერძი კორკელიამ, ავთანდილ სოსელიამ, დიმიტრი სიმონოვმა და იგორ სერდიუკმა სოხუმელ თანატოლებს აჯობეს, ორადგილიანი გასაშლელი უმესაჭო ნავებით შეჯიბრების სტარტზე კი ბათუმელთა ეკიპაჟი არ გამოსულა, ასე რომ, სოხუმელებს — ილონა კლადნიცკაიას და სვეტლანა კინოსიანს გამარჯვება სტარტზევე „ჯიბეში ედოთ“.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 103 ქულა; 2. ქუთაისი — 65,2; 3. ფოთი — 62,2; 4. აჭარა — 56,6; 5. აფხაზეთი — 18,5.

**თ. შენგელია.**

„შრომითი რეზერვების“ ჭაბუკ ძიუ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 15 წლის ჩემპიონი

**საქართველოს** „შრომითი რეზერვების“ ნაკრებმა გაიმარჯვა ტალინში გამართულ ჭაბუკ ძიუდოისტთა საკავშირო ტურნირში. ეს წარმატება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ასპარეზობაში 1971-1972 წლებში დაბადებული ძიუდოისტები მონაწილეობდნენ, სწორედ იმ ასაკის მოჭიდავეები, რომლებსაც ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებში მოუწევთ გამოსვლა და ამდენად ეს ტურნირი საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ ძალების ერთგვარი დათვალიერება იყო.

ტალინში ჩვენმა გუნდმა 10 საპრიზო ადგილი მოიპოვა. პირველი ადგილი დაიკავეს გურჯაანელმა ზაზა საცერაძემ (53 კგ), თბილისელმა თემურ ტაბატაძემ (62), საგარეჯოელმა ვეფხვია ნანუაშვილმა (75) და გლდანელმა თამაზ ცოფურაშვილმა (83). მისი თანასოფლელი ამირან აბუაშვილი (62) მეორე ადგილზე გავიდა.

ჩვენს ხუთ ძიუდოისტს მესამე ადგილი ხვდა წილად. ესენი არიან ცხინვალელი ილია ტრამაკიძე (49), ზუგდიდელი გელა თოდუა (53), თბილისელი გიორგი კაბისაშვილი (57), ახმეტელი ზაზა თედეშვილი (68) და თბილისელი გახოკიძე (75).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გლდანის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლის თამაზ ცოფურაშვილის წარმატება, რომელსაც შეჯიბრების დღეებში შეუსრულდა 15 წელი და ტურნირში გამოსასვლელად მცირეწლოვანი ასაკის გამო ექიმის საგანგებო ცნობა დასჭირდა. მან ტალინში 4 შეხვედრა ჩაატარა და ყველა დამაჯერებლად მოიგო.

# შინ ექვსი ქულა

(დასასრული)

რა თქმა უნდა, როცა ასეთ პროგნოზს გამოვთქვამდით, მეტოქეთა შესაძლებლობებსაც ვითვალისწინებდით და იმასაც, რომ ამ გუნდებთან ხარკოვში გამართულ პირველი წრის შეხვედრებში თბილისელებმა 6 ქულა მოიპოვეს.

სამწუხაროდ, მოსკოველ თანაკლუბელებთან შეხვედრის წინ თბილისელები ნავარაუდევი გრაფიკიდან ამოვარდნენ და ტურის ბოლო შეხვედრის წინ 2 ქულა უკვე დაკარგული ჰქონდათ. მისი ანაზღაურება მოსკოველებთან ფრიად საეჭვო ჩანდა, რადგან მეტოქე ძალზე ძლიერია და უკანასკნელი წლების საკავშირო ჩემპიონატების ოქროს მედლების უცვლელი მფლობელია. საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები ძირითადად სწორედ მოსკოვის „დინამოსაგან“ საზრდოობს და ამ გუნდს რეკომენდაციები არ სჭირდება.

მასპინძლები წარმატების მოპოვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებდნენ, თუ ისინი თავიანთ საუკეთესო თამაშს გვიჩვენებდნენ, მოსკოველები კი, პირიქით, რაც ძნელი წარმოსადგენი იყო, მით უმეტეს, რომ ჩვენმა მეტოქემ თბილისში ყველასთვის მოულოდნელად 3 ქულა და მასთან ერთად ერთპიროვნული ლიდერობა დაკარგა.

მართლაც, მოსკოველებმა თამაშის დაწყებისთანავე ისეთი იერიშები წამოიწყეს და ისე სწრაფად გაიტანეს ბურთები (სამჯერ), რომ თბილისელებმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრეს. მეორე პერიოდის დასაწყისში ანგარიში უკვე 6:1 იყო მოსკოველთა სასარგებლოდ. ამ დროის წესების დარღვევის გარეშე წყალში გამართულ ჭიდაობისას ზედიზედ ჯერ განიევმა, მერე ბითაძემ ქუდები დაკარგეს. მანამ წყალბურთელები იმ ქუდების მოსაძებნად ყვინთვით იყვნენ გართული, თამაში შეწყდა და პაუზით ვისარგებლეთ. ამ ტურის მატჩებში თბილისელთა თამაშზე შეჯიბრების მთავარი მსაჯის, საერთაშორისო არბიტრისა და ცენტრალური ტელევიზიის კომენტატორის ვლადიმერ რამმაჯანის აზრი გვაინტერესებდა.

— ვერაფრით ამიხსნია რა ემართებათ თბილისელებს, — გვეუბნება რამმაჯანი, — მათ ჩინებულ თამაშს რომ ასეთი ჩავარდნა მოსდევს, როგორც ახლა მოსკოვის „დინამოსთან“. აბა, ვინ იფიქრებდა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან მშვენიერ თამაშს ხარკოვის „ლოკომოტივთან“ უფერული შეხვედრა მოჰყვებოდა, მერე ამას ლვოველ თანაკლუბელებთან ბრწყინვალე თამაში და კვლავ უღიმღამო მატჩი „მოსკვიჩთან“ დაემატებოდა. იქნებ თბილისელთა არასტაბილური თამაში იმითაც აიხსნება, რომ გუნდში ბევრი ახალგაზრდაა და მათ სათამაშო პრაქტიკა აკლიათ. საკავშირო ჩემპიონატებში ახლა ივნისამდე არდადეგები იქნება და ამ პრაქტიკის მიღება თბილისელებმა სხვა შეჯიბრებებში უნდა სცადონ. ისინი ახლა კუბაში საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისთვის მიემგზავრებიან, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე თბილისის საერთაშორისო ტურნირზეც გამოვლენ, მაგრამ ერთია ამგვარი შეხვედრები და სულ სხვა — საკავშირო ჩემპიონატების მატჩები. ჩვენს შინაურ შეჯიბრებებში გაცილებით მეტი დაძაბულობაა. სხვათა შორის, ასეთივე აზრისაა იტალიელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ნანი პაჯი, რომელიც თბილისის ამ ტურში სამსაჯოდ მოვიწვიეთ. თბილისელთაგან ძალზე მომწონს მეკარე გიორგაძის ჩინებული თამაში. სტაბილურად თამაშობს გუნდის კაპიტანი კუტივაძე, რომელიც მშვენიერ სპორტულ ფორმაშია. ზოგიერთ შეხვედრაში ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა ბითაძემაც.

ამასობაში თამაში განახლდა, რასაც მასპინძელთათვის კარგი არაფერი მოუტანია. ისინი დიდი ანგარიშით დამარცხდნენ (თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს კუტივაძემ — 3, რამიშვილმა — 2, ბითაძემ, მოსკოველთაგან — აპანასენკომ — 5, ივანოვმა, გრიშინმა — 2-2, მშვენიერაძემ, ვორონინმა და ნიკიფოროვმა).

ამრიგად, თბილისის ტურში ყველა თამაში წააგო „ლოკომოტივმა“. თბილისელებმა ორი მოიგეს და ამდენივე შეხვედრა ფრედ დაამთავრეს, მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ. საუკეთესო შედეგი ჰქონდათ მოსკოვის „დინამოსა“ და „უნივერსიტეტის“ წყალბურთელებს, რომლებმაც 7-7 ქულა აიღეს.

შეგახსენებთ, რომ მოსკოვის დინამოელებს თბილისის ტურამდე შეხვედრა არ წაუგიათ. აქ დამარცხებამ და კიდევ ერთმა ფრემ მათ ლიდერობა დააკარგვინა, რომელიც ხელთ იგდო ცსკ ვმფ-მ. მან ძერჟინსკში ყველა შეხვედრა მოიგო, მათ შორის ტურის ბოლო მატჩი სევასტოპოლის კჩფ-სთან — 12:9 (აქ ტურის დანარჩენი ბოლო შეხვედრები ასე დამთავრდა: ბაქოს კკფ — მინსკის ასკ — 9:7, კიევის „დინამო“ — ალმა-ათის „დინამო“ — 7:7).

...მაშინ თბილისელმა და მოსკოველმა წყალბურთელებმა ის დაკარგული ქუდები კი მოძებნეს, მაგრამ დაკარგულ ქულებს ველარ იპოვიან. მათ ისღა დარჩენიათ, მიაგნონ მარცხის უმთავრეს მიზეზებს.

**ავთანდილ გურასაშვილი.**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 მარტისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკ ვმფ | 16 | 13 | 3 | 0 | 29 |
| „დინამო“ (მოსკ.) | 16 | 11 | 4 | 1 | 26 |
| „დინამო“ (ლვ.) | 16 | 9 | 4 | 3 | 22 |
| „უნივ.“ (მოსკოვი) | 16 | 9 | 3 | 4 | 21 |
| „დინ.“ (ალმა-ათა) | 16 | 10 | 1 | 5 | 21 |
| „დინამო“ (თბ.) | 16 | 6 | 6 | 4 | 18 |
| „დინამო“ (კიევი) | 16 | 7 | 3 | 6 | 17 |
| კკფ (ბაქო) | 16 | 4 | 4 | 8 | 12 |
| „მოსკვიჩი“ | 16 | 3 | 3 | 10 | 9 |
| კჩფ (სევასტ.) | 16 | 2 | 3 | 11 | 7 |
| „ლოკომ.“ (ხარკ.) | 16 | 2 | 2 | 12 | 6 |
| ასკ (მინსკი) | 16 | 1 | 2 | 13 | 4 |





## ცვლა მოდის

**როგორც** ვიუწყებოდით, ხარკოვის ლოკომოტიველებთან მატჩში თბილისის „დინამოს“ რიგებში პირველად ვიხილეთ გუნდის დებიუტანტები ირაკლი ლიპარტელიანი და ნოდარ ჩოლარია. მათ ამის შემდეგ ლვოველ თანაკლუბელებთან შეხვედრაშიც ითამაშეს.

რა შეიძლება ითქვას გუნდის ახალწვეულებზე? როგორც ვწერდით, მათ არც ისე დიდხანს მოუხდათ სარბიელზე ყოფნა, რომ თამაშისთვის რაიმე მნიშვნელოვანი კვალი დაეტყოთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ დებიუტანტები გუნდს შეერწყნენ, რაც დასაწყისისთვის ცუდი არ არის.

უნდა ითქვას, რომ ლიპარტელიანი და ჩოლარია, მართალია, ახალგაზრდები არიან, მაგრამ გარკვეული გამოცდილება მაინც აქვთ. ისინი ჩვენი ქვეყნის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორები იყვნენ. სპარტაკიადის შემდეგ ლიპარტელიანი თბილისის ასკ-ში თამაშობდა, ხოლო ჩოლარია — „დინამოს“ ახალგაზრდულ ნაკრებში. ორივე სპორტის ოსტატია.

იმედია, ორივენი თავიანთ ოსტატობას კიდევ დახვეწენ და მომავალში დიდ წვლილს შეიტანენ თანაგუნდელთა წარმატებებში.

**სურათზე: ნოდარ ჩოლარია (მარცხნივ) და ირაკლი ლიპარტელიანი.**

# გიორგი ეგნატაშვილის სახელობისა

— **ამჟამად** მთელი ჩვენი მეცადინეობა მიმართულია საკავშირო ჭაბუკთა თამაშებისათვის (8-15 ივლისი, ვორონეჟი) წარმატებით მოსამზადებლად, — გვითხრა საქსპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ტანვარჯიშში, რესპუბლიკის დამსახურებულმა მწვრთნელმა **ზიგფრიდ გვეტაძემ**, — სწორედ ამას ვითვალისწინებდით, როდესაც აღნიშნულ შეჯიბრებაზე ის სპორტსმენებიც დავუშვით, რომლებიც თამაშებზე გამოვლენ.

სახელოვანი ქართველი ტანმოვარჯიშის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის რესპუბლიკური თასის გათამაშებამ (შეჯიბრება თბილისის სპორტკომიტეტის ტანვარჯიშის სპორტკომპლექსში გაიმართა) 61 მონაწილეს (მათ შორის 34 ქალს) მოუყარა თავი. თუმცა სტარტზე სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გამოვიდნენ ჩვენი ლიდერები — ეკა ზეთურიძე, ვლადიმერ გოგოლაძე, ამირან ბერიანიძე, ემზარ ფუნთუშაშვილი და ლევან სისაური — ასპარეზობა საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ვაჟებში 4, ხოლო ქალებში — 6 გუნდი (აქედან თითო გუნდი უკონკურსოდ გამოდიოდა) ეცილებოდა უძლიერესის სახელს.

როგორც ვაჟთა, ისე ქალთა შორის ყველას ამჯერადაც თბილისელებმა აჯობეს. მეორე და მესამე ადგილებზე (ორივე ტურნირში) გავიდნენ შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის გუნდები.

მთავარი ჯილდოები — საპატიო თასები, ცხადია, ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეთა შორის თამაშდებოდა: ქალთა შორის აქ უძლიერესი იყო თბილისელი ნაირა საკიანი (71,25 ქულა), ვაჟებში — მისი თანაგუნდელი ხვიჩა გაბიევი (105,025). ოსტატობის კანდიდატთა შორის დავა მოიგეს ქუთაისელმა მედეა ქუთათელაძემ (71,175) და თბილისელმა მიხეილ პლიევმა (99,35).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

# არც დამარცხებულებს ასამართლებენ

**„ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი) 5:4 (2:1).**

**ლენინგრადი. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ-საკონცერტო დარბაზი. 19 მარტი.**

**„ზენიტი": ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, ტიმოფეევი, აფანასიევი, ლარიონოვი, ბარანიკი, ჟელუდკოვი, ჩუხლოვი (სალენკო, 46), დმიტრიევი, პოდპალი (კუზნეცოვი, 89).**

**„დინამო": გაბელია, კეტაშვილი, ცვეიბა, ჰედია, გუბაზი (კორღალიძე, 54), ტყებუჩავა, სვანაძე, სულაქველიძე, გ. ჯიშკარიანი, გურული, მესხი (ფანცულაია, 46).**

**გოლები: დმიტრიევი (2, 78), გ. ჯიშკარიანი (9, 60), პოდპალი (42), ბარანიკი (49), კორღალიძე (55); სალენკო (87), გურული (90, თერთმეტმეტრიანით).**

**გააფრთხილეს: ტიმოფეევი, ჟელუდკოვი, ლარიონოვი; გააძევეს კორღალიძე (64).**

მატჩის შემდეგ თბილისელთა უფროსი მწვრთნელი გერმან ზონინი გასახდელში არ შესულა, ავტობუსშიც ყველაზე ბოლოს ავიდა და მხოლოდ ეს უთხრა ფეხბურთელებს: „ასწიეთ თავები, დამარცხება რომ არ ყოფილიყო, არც გამარჯვება იქნებოდა, წინ მთელი სეზონია!" იმ წუთში, ცხადია, სხვასაც ფიქრობდა უფროსი მწვრთნელი, მაგრამ რაკი გუნდმა თავი არ დაზოგა, თუმცა, მაინც დამარცხებულმა დატოვა მოედანი, რაკი ბიჭები ამ მარცხს მართლაც ძალიან განიცდიდნენ, მწვრთნელმა „შინაური" საუბარი შემდგომისთვის შემოინახა. იმ წუთში ყველა მაინც იმაზე ფიქრობდა, რომ მატჩის გადარჩენა შეიძლებოდა, შეიძლებოდა, ის სამწუხარო ინციდენტი რომ არა, რის შემდეგაც თბილისელები ათნი დარჩნენ მოედანზე, ის სამი უხეში შეცდომა რომ არა, მცველებმა და მეკარემ რომ დაუშვეს საკუთარი კარის მისადგომებთან.

გულშემატკივრებმა იციან, რომ ჩვენს ფეხბურთელებს მათთვის უჩვეულო პირობებში მოუხდათ ამ მატჩის ჩატარება. ბეტონზე გადაკრული სინთეზური მასალის საფარი მაინც სხვაა, შეუჩვეველ გუნდებს უჭირთ ასეთ მაგარ მოედანზე თამამად თამაში.

ლენინგრადელი მაყურებელი დიდი ინტერესით მოელოდა ამ მატჩს. უნდა ითქვას, რომ იმ საღამოს ქალაქის სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში ლამაზი, აზარტული, დაძაბული ფეხბურთი იხილა მაყურებელმა. მატჩს ამშვენებდა თითქმის ყველაფერი, რითაც ასე გვხიბლავს ფეხბურთი, გოლებიც უხვად იყო...

თამაშის დასაწყისში თბილისელთა კარში გასულმა ბურთმა ბრემენში „ვერდერთან" გამართული მატჩის სიუჟეტი მოგვაგონა, მაგრამ დინამოელები უცაბედი გოლით არც ახლა შედრკნენ, მასპინძელთა შტურმი თბილისელებმა თანდათან ჩაახშეს, თამაში გათანაბრდა და გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. პრესის ლოჟაში ლენინგრადელმა კოლეგამ მატჩის დასაწყისში გვითხრა: მთავარმა მწვრთნელმა ს. ზავიდონოვმა თამაშის წინ ზენიტელები გააფრთხილა, რომ განსაკუთრებული კონტროლი გაეწიათ დინამოელთა შუა ხაზისთვის, ფორვარდებიდან კი — მესხისა და გურულისათვის. ლენინგრადელებმა მწვრთნელის მითითება შეასრულეს, სამაგიეროდ მათ თითქმის ვერაფერი გააწყვეს გ. ჯიშკარიანთან, რომელიც გამუდმებით სახიფათოდ უტევდა მეტოქის კარს და ყოველ წამს მზად იყო გოლის გატანისათვის ხელსაყრელი მომენტის გამოსაყენებლად. გ. ჯიშკარიანმა შორი მანძილიდან ასე გაიტანა ულამაზესი გოლი, მერე კიდევ ერთხელ აიძულა ბირიუკოვი საკუთარი კარიდან გამოეტანა ბურთი. მატჩის მიწურულს მას კიდევ შეეძლო ერთი ბურთის გატანა, მაგრამ საჯარიმოში უხეშად ეთამაშნენ. პენალტი კარგად გამოიყენა გურულმა.

მასპინძლები ამ მატჩში ყოველთვის წინ იყვნენ. თუმცა მაშინაც კი, როცა ანგარიში გახდა 1:3 და 3:5, დინამოელები საკუთარი ძალების რწმენით იბრძოდნენ. ეს არ შეიძლება არ დაუფასდეს კოლექტივს. დააკვირდით: „დინამო" აგებდა 1:3 და ათ წუთში შეძლო ორი ბურთის გატანა.

...მიმდინარეობდა მატჩის 64-ე წუთი. ჟელუდკოვი სვანაძეს უხეშად ეთამაშა და ეს უკანასკნელი სარეკლამო ფარებს მიენარცხა. მოედნის გვერდით ხაზს და სარეკლამო ფარებს ერთმანეთისგან რამდენიმე სანტიმეტრი აშორებს (?!). ამ მომენტში ჟელუდკოვს კორღალიძე მიეჭრა და „ხელი ამოარტყა მუცელში". ასე ჩაწერა მსაჯმა ოქმში. არავითარი გამართლება არ აქვს კორღალიძის გამოხდომას, მაგრამ არა ჩვენი ფეხბურთელის დასაცავად, არამედ სიმართლის გასარკვევად თავს ვალდებულად ვთვლით ვთქვათ, რომ კორღალიძემ დარტყმის იმიტირება გააკეთა (ასეთ მოძრაობებს კარატეში „უკონტაქტო" დარტყმა ჰქვია), რაც ჟელუდკოვმა უმალვე გამოიყენა — თითქოს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. საბოლოოდ ჟელუდკოვი ყვითელი ბარათით დაისაჯა, კორღალიძე კი — გაძევებით.

არ შეიძლება არ გვაშფოთებდეს ის დარღვევები, რასაც ჩვენი ფეხბურთელები ავლენენ ჩემპიონატის სტარტზე. გუნდის ხელმძღვანელებს მეტი მუშაობა მართებთ მოთამაშეებთან, რათა მსგავსი შემთხვევები აღარ გამეორდეს.

პირველმა გასვლითმა მატჩმა გვიჩვენა, რომ ჩვენს გუნდს აქვს რეალური პოტენციური შესაძლებლობები, იგრძნობა მობილიზება, ბოლოს და ბოლოს მეტოქის მოედანზე ოთხი ბურთის გატანაც ხომ ამაზე მეტყველებს. ვიმეორებთ, „დინამოს" თამაში ურიგო შთაბეჭდილებას არ ტოვებს, ეს მატჩის შემდეგ სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმაც ერთხმად აღნიშნეს. ახლა მთავარია კოლექტივმა სრულყოს აღებული კურსი, ცხადია, ლენინგრადის გაკვეთილის გათვალისწინებით.

დაბოლოს ვიტყვით, რომ, ჩვენი აზრით, მატჩი საუკეთესოდ ჩაატარა მოსკოველ მსაჯთა ბრიგადამ ვ. ბუტენკოს ხელმძღვანელობით. თუმცა ვ. ბუტენკოს მიმართ ლენინგრადის პრესამ საყვედურებიც გამოთქვა.

გუშინ რედაქციაში გვირეკავდნენ, გვეკითხებოდნენ: რატომ იმსაჯა ვ. ბუტენკომ ასე მცირე ხანში ორ მატჩში? საქმე ისაა, რომ თბილისში ჩემპიონატის პირველ მატჩში „დინამო" — „ჟალგირისის" შეხვედრისთვის სხვა არბიტრი იყო დანიშნული, რომელიც ავად გახდა. იგი ბუტენკომ შეცვალა. ლენინგრადში კი მისი მსაჯობა განრიგით იყო დაგეგმილი.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**
ლენინგრადი-თბილისი.

## გათამაშების ცხრილი

**ძირითადი შემადგენლობანი** — **მდგომარეობა 22 მარტისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „ტორპედო" (მოსკოვი) | 3 | 2 | 1 | 0 | 4-0 | 5 |
| 2. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 3 | 2 | 0 | 1 | 9-7 | 4 |
| 3. „დინამო" (მოსკოვი) | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 4 |
| 4. „დინამო" (თბილისი) | 3 | 2 | 0 | 1 | 8-7 | 4 |
| 5. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 3 | 2 | 0 | 1 | 2-2 | 4 |
| 6. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 3 | 1 | 2 | 0 | 3-1 | 4 |
| 7. „დინამო" (კიევი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2-1 | 4 |
| 8. „შახტიორი" (დონეცკი) | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 3 |
| 9. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 3 |
| 10. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 3 |
| 11. „დინამო" (მინსკი) | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 2 |
| 12. „არარატი" (ერევანი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 2 |
| 13. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 3 | 1 | 0 | 2 | 3-4 | 2 |
| 14. „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 2 |
| 15. „ნეფთჩი" (ბაქო) | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |
| 16. „ქაირათი" (ალმა-ათა) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-5 | 0 |

## SOS

# მგზავრები... ქარიშხალში

**გუშინწინ, ის იყო ლენინგრადიდან თვითმფრინავი ჩამოფრინდა, რომ თბილისის აეროპორტში ძლიერ ქარს კოკისპირული წვიმა დაერთო. „დინამოს" ფეხბურთელებმა და ლენინგრადიდან მომავალმა ნორჩ სპორტსმენთა გუნდმა ამ რეისის მრავალ სხვა მგზავრთან ერთად, რომელთა შორის მოხუცები და ბავშვიანი დედებიც იყვნენ, თვითმფრინავიდან დიდი მანძილი ქარიშხალში და კოჭებამდე წყალში გაიარეს. ტრაპთან ავტობუსს ბევრი ამაოდ ელოდა. ავტობუსით გადაიყვანეს მხოლოდ უცხოელი სტუმრები. მთლიანად დასველებული მგზავრები შემდეგ ასევე დიდხანს ელოდნენ ბარგს. ნუთუ იმ ღამეს (ეს იყო 22 საათზე) დედაქალაქის აეროპორტში მართლა არავინ დაინტერესდა ამ ხალხის მომსახურებით? იქნებ ამ რეისის (6882) მგზავრები გამონაკლისი არ იყვნენ?**



# ახალი ტურნირი

თბილისელი რეგბისტები საქალაქო და რესპუბლიკური შეჯიბრებებით განებივრებულნი არ არიან, ამიტომ ამ ახალმა ტურნირმა საყოველთაო ყურადღება მიიპყრო — ამიერიდან გაზაფხულობით გაიმართება საქალაქო შეჯიბრება, რომელიც ტრადიციული გახდება.

ტურნირი, რომელიც მედიკოსთა პროფკავშირებისა და სამედიცინო ინსტიტუტის ხელმძღვანელთა თაოსნობით მოეწყო ამ ინსტიტუტის სტადიონზე (8-13 მარტს), კარგად იყო ორგანიზებული. ამჯერად ორგანიზატორებმა თავიდან აიცილეს მატჩების გადატანა, რაც ასე ხშირია რეგბისტთა საქალაქო შეჯიბრებების დროს და გუნდებს თამაშის ყოველგვარ ხალისს უკარგავს, ხშირად კი ტურნირების ჩაშლის მიზეზიც გამხდარა. ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებას ხელი შეუწყო მზიანმა ამინდმაც.

სამედიცინო ინსტიტუტის, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის, პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სამხატვრო აკადემიის გადახალისებულმა გუნდებმა შინაარსიანი თამაშით მოხიბლეს მაყურებლები. საბოლოოდ, ფინალში თამაშის უფლება მედიკოსებმა და არმიელებმა მოიპოვეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გუნდმა (მწვრთნელი გურამ მოდებაძე) გაიმარჯვა ანგარიშით 11:10 (3:0) და მოიპოვა გარდამავალი თასი — კერამიკული ლარნაკი. მეორე ადგილზე გავიდა სამედიცინო ინსტიტუტის გუნდი (მწვრთნელი რეზო ჩხეიძე), მესამეზე — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (მწვრთნელები გუჯა და ლაშა გეგენავები). მომდევნო ადგილები დაიკავეს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და სამხატვრო აკადემიის გუნდებმა.

# ნაკრები ემზადება

**21 მარტს,** სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის მატჩების შემდეგ, სსრ კავშირის ნაკრები საბერძნეთს გაემგზავრა, სადაც 23 მარტს ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს გამართავს ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან. ეს შეხვედრა ბერძენ ფეხბურთელებთან ევროპის მომავალი ჩემპიონატის ფინალისთვის სამზადისის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ჩვენი ნაკრებისთვის.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები თითქმის არ არის, ოღონდ, ავადმყოფობის გამო საბერძნეთში ვერ გაემგზავრა გუნდის უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი.

ნაკრების შემადგენლობაში არიან შემდეგი ფეხბურთელები: **მეკარეები** — რ. დასაევი („სპარტაკი"), ა. [illegible] და ვ. ჩანოვი (ორივე — „დინამო", კიევი). **მცველები** — ვ. ბესონოვი, ო. კუზნეცოვი, ა. დემიანენკო, ს. ბალტაჩა (ყველანი — „დინამო", კიევი), ვ. სუკრისტოვი („ჟალგირისი"), ვ. ხიდიატულინი („სპარტაკი"); **შუა ხაზისა და შეტევის მოთამაშეები** — პ. იაკოვენკო, ი. იარემჩუკი, ვ. რაცი, გ. ლიტოვჩენკო, ა. ზავაროვი, ო. პროტასოვი, ი. ბელანოვი (ყველა — „დინამო", კიევი), ს. გოცმანოვი და ს. ალეინიკოვი (ორივე — „დინამო", მინსკი), ვ. პასულკო და ს. როდიონოვი (ორივე — „სპარტაკი", მოსკოვი).

გუნდის უფროსია ნ. სიმონიანი, მწვრთნელები — ი. მოროზოვი და ს. მოსიაგინი.

# ოლიმპიელთა შემადგენლობა

**უახლოეს** ოთხშაბათს, 23 მარტს, ჩვენი ქვეყნის ოლიმპიელ ფეხბურთელთა ნაკრები ლაიფციგში ამხანაგურ მატჩს გამართავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიურ გუნდთან.

ამ თამაშისთვის, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები ასეთი შემადგენლობით ემზადებოდა: **მეკარეები** — დ. ხარინი („დინამო", მოსკოვი), ა. პრუდნიკოვი („ტორპედო". მოსკოვი), **მცველები** — ვ. ლოსევი და ი. სკლიაროვი (ორივენი —„დინამო", მოსკოვი), გ. კეტაშვილი („დინამო", თბილისი), ა. ჩერედნიკი („დნეპრი"), ე. იაროვენკო („ქაირათი"), შუა ხაზისა და თავდასხმის მოთამაშეები — ა. მიხაილიჩენკო („დინამო", კიევი), ე. კუზნეცოვი („სპარტაკი"), ვ. ივანაუსკასი და ს. ბარანაუსკასი (ორივენი — „ჟალგირისი"), ი. დობროვოლსკი, ი. კოლივანოვი და ა. ბოროდიუკი (ყველანი — „დინამო", მოსკოვი), ი. სავიჩევი („ტორპედო"), ვ. ტატარჩუკი (ცსკა), ვ. ლიუტი („დნეპრი"). გუნდის უფროსი მწვრთნელია ა. ბიშოვეცი, მწვრთნელი — ვ. სალკოვი.

### საქართველოს პირველობა

# პირველი მატჩი ბოლნისში

**დაიწყო** საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში პირველი ჯგუფის გუნდებს შორის. ბოლნისის „მადნეულმა" მიიღო ხაშურის „ივერია".

ბოლნისი სეზონის დაწყებას რეკონსტრუირებული სტადიონით შეხვდა. განახლდა გასახდელები, გამართულად მუშაობდა რადიოკვანძი, კარგ მდგომარეობაში იყო სათამაშო მინდორიც. მასპინძლებმა დროზე იზრუნეს იმისთვის, რომ სეზონის გახსნა ნამდვილ სპორტულ ზეიმად ექციათ.

ბოლნისელ ფეხბურთელებს ცდა არ დაუკლიათ, რათა მაყურებლისათვის შემტევი, ლამაზი ფეხბურთი ეჩვენებინათ. მეტოქეებმა თამაში დაუზვერავად დაიწყეს — ისინი კარგად იცნობენ ერთმანეთს (საწვრთნელ შეკრებას ორივე გუნდი ერთად გადიოდა შავიზღვისპირეთში). თამაშის მე-15 წუთზე ბოლნისელმა ბესო უგულავამ 11-მეტრიანით გახსნა ანგარიში. „ივერიის" ფეხბურთელებმა ამის შემდეგ საგრძნობლად მოუმატეს ტემპს, მაგრამ მათ მცდელობას ანგარიში შეეცვალათ შედეგი არ მოჰყოლია. 1:0 — ასეთი ანგარიშით წავიდნენ გუნდები შესვენებაზე.

მეორე ნახევარიც ბოლნისელთა იერიშებით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდა დოლიძე. სწორედ ერთ-ერთი ასეთი იერიშის დროს მის გადაცემას ზუსტად შეურჩია ადგილი ბადრი უგულავამ და მეორე გოლი გაიტანა — 2:0. მეორე გაშვებული ბურთის შემდეგ „ივერია" თითქოს შეურიგდა დამარცხებას, მასპინძელთა მასირებულ შეტევებს სტუმრები ეპიზოდური კონტრშეტევებით პასუხობდნენ. რამდენიმე წუთში, ჩხეტიანის დარტყმის შედეგად, ანგარიში სამამდე იზრდება. შემდგომში ბოლნისელებმა რამდენიმე ძირითად მოთამაშეს დასვენების საშუალება მისცეს. ხაშურელებმა ამ დროს სცადეს სახიფათო შეტევების განხორციელება, მაგრამ რთულ სიტუაციებში კარგად თამაშობდა ბოლნისელთა მეკარე კუდუხოვი. „მადნეულის" საბოლოო გამარჯვებას წერტილი ჯაგოვის დარტყმამ დაუსვა — 4:0.

კარგად ჩაატარა თამაში მსაჯთა ბრიგადამ (რ. ტალიაშვილი, ი. კანდელოვი, მ. ფოლადაშვილი). მატჩის ინსპექტორმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გაიოზ ჯეჯელავამ შეხვედრის შემდეგ რამდენიმე რჩევა მისცა მოასპარეზე გუნდების ფეხბურთელებს.

გუნდებმა მატჩი შემდეგი შემადგენლობით ჩაატარეს: **„მადნეული"**: კუდუხოვი (დალაქიშვილი), რეხვიაშვილი, ფოფხაძე, ყიფშიძე, მანაგაძე, მერეჩკო, ჩხეტიანი (გრძელიშვილი), ბადრი უგულავა, ბესიკ უგულავა (აკოფაშვილი), ჯაგოვი, დოლიძე; **„ივერია"**: ჩადუნელი, გ. ხაჩიძე, ვ. ხაჩიძე, კურტანიძე, ჯანგურიძე, ხარაზიშვილი, იმ. ნოზაძე (ლამბაშიძე), იური ნოზაძე, ოსაძე (მარკოზაშვილი), ზვიადაძე (ნეკერაშვილი), ტიტვინიძე.

**ზაზა კახაძე.**
**(„ლელოს" საკ. კორ.).**

• • •

გთავაზობთ ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის პირველი ტურის სხვა შედეგებს: „შადრევანი" (წყალტუბო) — „მაღაროელი" (ჭიათურა) 2:0, „დინამო" (გაგრა) — „მეშახტე" (ტყიბული) 1:0, „კოლხეთი" (ხობი) — „არმაზი" (მცხეთა) 3:2, „სალხინო" (გეგეჭკორი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:1, „სქური" (წალენჯიხა) — „დურუჯი" (ყვარელი) 0:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ბახტრიონი" (ახმეტა) 0:1, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „ქართლი" (გორის რაიონი) 4:0, „დინამო" (ზუგდიდი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 4:1, „ეგრისი" (ცხაკაია) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1, „სულორი" (ვანი) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0.

## ო. ბლოხინი განმარტავს

ამას წინათ ჩვენ ვისარგებლეთ „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებული წერილით და მკითხველს ვაუწყეთ ცნობილი კიეველი ფეხბურთელის ოლეგ ბლოხინის ავსტრიის კლუბ „ფორვერტსში" გადასვლაზე წარმოებული მოლაპარაკების თაობაზე.

ო. ბლოხინმა საპასუხო წერილი გამოაქვეყნა „კომსომოლსკაია პრავდის" 19 მარტის ნომერში. იგი ადასტურებს ავსტრიის ამ კლუბიდან მიღებულ მოწვევას, მაგრამ უარყოფს იმ ცნობას, რომ იგი მხოლოდ მოთამაშედაა მიწვეული ავსტრიის ამ „მეორეხარისხოვან" კლუბში. ჩვენი ფეხბურთელი ხაზს უსვამს, რომ „ფორვერტსმა" იგი მიიწვია არა მარტო ფეხბურთელად, არამედ მოთამაშე-მწვრთნელად. გარდა ამისა, ო. ბლოხინი აღნიშნავს, რომ კიევის „დინამოს" დუბლიორთა შემადგენლობის მწვრთნელად იგი ჯერჯერობით არავის მიუწვევია, ხოლო ავსტრიის „ფორვერტსთან" კონტრაქტის დადების თაობაზე მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

საქართველოს ჩემპიონატი კალათბურთში



# ლიდერები კვლავ იმარჯვებენ

გასულ შაბათს და კვირას რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საქართველოს პირველობის მორიგი მატჩები.

**პირველი ჯგუფი.** ლიდერებმა— ფიზკულტურის ინსტიტუტის, უნივერსიტეტისა და ქუთაისის კალათბურთელებმა კვლავ მოიგეს შეხვედრები და ასპარეზობას დაუმარცხებლად განაგრძობენ. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებმა თბილისის „დინამო" ორივეჯერ დიდი ანგარიშით დაამარცხეს — 140:81 (72:40) და 129:79 (60:32). ასევე დიდი ანგარიში დაფიქსირდა უნივერსიტეტისა და ბათუმის შეხვედრაში — 123:59 (59:27) და 102:60 (53:36). ქუთაისის კალათბურთელებმა აჯობეს გორელებს გასვლით მატჩებში 99:67 (57:25) და 85:84 (45:41).

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ფიზკ. ინსტ. (თბ.) | 4 | 4 | 0 | 478-308 | 8 |
| უნივერ. (თბ.) | 4 | 4 | 0 | 419-289 | 8 |
| ქუთაისი | 4 | 4 | 0 | 409-322 | 8 |
| გორი | 4 | 0 | 4 | 321-378 | 4 |
| „დინ." (თბ.) | 4 | 0 | 4 | 331-494 | 4 |
| ბათუმი | 4 | 0 | 4 | 267-434 | 4 |

**მეორე ჯგუფი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და „მართვეს" შეხვედრა არ შედგა. იგი მოგვიანებით გაიმართება. დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „სინათლე" (თბილისი) — რუსთავი 104:109 (52:51) და 122:89 (62:45), თელავი — სოხუმი 72:86 (25:52) და 89:103 (47:49).

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სოხუმი | 4 | 4 | 0 | 383-338 | 8 |
| „სინათლე" (თბ.) | 4 | 3 | 1 | 456-365 | 7 |
| რუსთავი | 4 | 1 | 3 | 369-442 | 5 |
| სპი (თბ.) | 2 | 2 | 0 | 216-171 | 4 |
| თელავი | 4 | 0 | 4 | 328-419 | 4 |
| „მართვე" (თბ.) | 2 | 0 | 2 | 177-194 | 2 |

# ჭაბუკთა მონაწილეობით

19 და 20 მარტს გაიმართა რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი მატჩები ჭაბუკთა გუნდების მონაწილეობით.

**პირველი ჯგუფი.** უნივერსიტეტი (თბილისი) — ბათუმი 59:57 (34:32) და 64:78 (35:35); ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) 38:99 (23:50) და 59:120 (26:52); გორი — ქუთაისი 71:61 (33:30) და 48:46 (28:23).

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბ.) | 4 | 4 | 0 | 400-236 | 8 |
| ბათუმი | 4 | 3 | 1 | 255-196 | 7 |
| გორი | 4 | 3 | 1 | 235-233 | 7 |
| უნივერ. (თბ.) | 4 | 2 | 2 | 249-251 | 6 |
| ქუთაისი | 4 | 0 | 4 | 246-300 | 4 |
| ფიზკ. ინ. (თბ.) | 4 | 0 | 4 | 170-339 | 4 |

**მეორე ჯგუფი.** საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მართვე" (თბილისი) 84:83 (32:41) და 82:110 (34:50), „სინათლე" (თბილისი) — რუსთავი 76:58 (39:24) და 68:66 (33:36). თელავისა და სოხუმის გუნდების შეხვედრა არ ჩატარდა.

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „მართვე" (თბ.) | 4 | 3 | 1 | 373-236 | 7 |
| სპი (თბ.) | 4 | 3 | 1 | 343-223 | 7 |
| „სინათლე" (თბ.) | 4 | 2 | 2 | 269-268 | 6 |
| თელავი | 2 | 2 | 0 | 144-125 | 4 |
| რუსთავი | 4 | 0 | 4 | 254-321 | 4 |
| სოხუმი | 2 | 0 | 2 | 70-180 | 2 |

საქართველოს ქალთა ჩემპიონატი ჭადრაკში

# ფინიში ახლოსაა

**დასასრულს** მიუახლოვდა მოჭადრაკე ქალთა 44-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. დასკვნითი ეტაპი ერთობ საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს, რადგან ჩემპიონის სახელის მოპოვების შესაძლებლობა ერთდროულად სამ მოჭადრაკეს აქვს.

XV ტურში პირველი მარცხი განიცადა გარდაბნელმა ოსტატმა ქეთევან კახიანმა. იგი შეჯიბრების დებიუტანტმა ქუთაისელმა ოსტატობის კანდიდატმა ნინო ხარლამიდიმ დაამარცხა. მართალია, ნინოს ჯერჯერობით მხოლოდ 6,5 ქულა აქვს (XV ტურის ჩათვლით), მაგრამ დებიუტანტისთვის ეს შედეგი არცთუ ისე ურიგოა. მან 5 პარტია წააგო, 7 ყაიმით დაამთავრა (მათ შორის 1 საერთაშორისო ოსტატთან და 4 ოსტატთან) და 3 პარტია მოიგო. ალბათ დარჩენილ ორ ტურში შეეცდება ქულათა მაქსიმუმის აღებას.

მეტოქეებმა ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი რთული სისტემა გაითამაშეს. დებიუტში თეთრებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ ხარლამიდიმ ზუსტი, გაბედული თამაშით პოზიცია გაათანაბრა, შემდეგ კი დაეუფლა ინიციატივას. კრიტიკულ სიტუაციაში კახიანმა შეცდომა დაუშვა. რის შემდეგაც მატერიალური ზარალი გარდუვალი იყო და მან თავი დამარცხებულად ცნო.

ახლა ტურნირში დაუმარცხებლად მხოლოდ გორელი ოსტატი ციალა ქასოშვილი მიიწევს წინ. მან ამ ტურში შავი ფიგურებით ოსტატობის კანდიდატი მაია ხუციშვილი დაამარცხა.

მეტოქეებმა კარო-კანის დაცვა გაითამაშეს. შავები დებიუტშივე დაეუფლნენ ინიციატივას. მათ გაცვალეს ფიგურები და პაიკი მოიგეს. ხუციშვილი თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ პარტიის ხსნა მაინც ვერ შეძლო.

ზედიზედ 5 გამარჯვების შემდეგ დამარცხდა ნინო მელაშვილი — სოფიკო ნიკოლაძესთან შეხვედრაში. მან (მელაშვილი შავი ფიგურებით თამაშობდა) იშვიათ დებიუტს — ბუდაპეშტის გამბიტს მიმართა, რომელიც მეტოქისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. სოფიკომ პირველ ოთხ სვლაზე მთელი 17 წუთი იფიქრა. ნიკოლაძემ პაიკი შესწირა მეტოქეს და ტაქტიკური კომბინაციით ორ ფიგურაში ეტლი დათმო. მელაშვილი ცაიტნოტში აღმოჩნდა, არაზუსტად ითამაშა, დათმო ხარისხი და საბოლოოდ უფიგუროდ დარჩა. მართალია, იგი ბოლომდე თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ [illegible] და [illegible].

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: კემულარია-ტერელაძე — 0:1, გელავა-ფახიროვა — 0:1, სადუნიშვილი-თვაური — 1:0, ქ. მელაშვილი-ხუგაშვილი — 0.5:0,5, ჩაიკოვსკაია-ხურციძე — 0,5:0,5.

გადატანილია კახაბრიშვილ-მესხის პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას მაია ხუციშვილმა სძლია თამარ ხუგაშვილს (XIII ტური). ხოლო ეკატერინე ფახიროვამ — ცაცინო კახაბრიშვილს (XIV ტური).

ამრიგად. 15 ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილს 11,5 ქულით სათავეში ჩაუდგა ოსტატი ციალა ქასოშვილი. მას ნახევარი ქულით ჩამორჩება ქეთევან კახიანი (გარდაბანი), შემდეგ მოდიან: ნინო მელაშვილი (თბილისი) — 9,5, თამილა მესხი — 9 (1), ეკატერინე ფახიროვა (ორივე — ქუთაისი), სოფიკო ტერელაძე (სამტრედია) — 9-9, ქეთევან მელაშვილი — 8,5, ლია სადუნიშვილი, იამზე თვაური (ყველა — თბილისი) — 8-8.

**ვასილ ვაშაკიძე.**

ჭადრაკი

## დარჩა სამი ტური

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს ვაჟთა I ლიგის ჩემპიონატი.**

8 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: გია ცქიტიშვილი (თბილისი) — 6,5 ქულა, ხვიჩა სუპატაშვილი (ქუთაისი), დავით ჩაჩიბაია (ცხაკაია), თამაზ ტაბატაძე — 6-6, პაატა გაფრინდაშვილი (ორივე — თბილისი) — 5,5.

შევახსენებთ, რომ I-IV ადგილებზე გასული მოჭადრაკეები რესპუბლიკის უმაღლესი ლიგის 48-ე ჩემპიონატის საგზურებს მიიღებენ. შეჯიბრების დამთავრებამდე 3 ტური რჩება.

## პროფკავშირების მოჭიდავეთა უპირატესობით

„**ლოკომოტივის**" საჭიდაო დარბაზში ჩატარდა 1973-1974 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა თბილისის პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ბ. ჯგუბურიამ, ჯ. ფუტკარაძემ, დ. ხუბულურმა, გ. რომანოვმა, დ. გამცემლიძემ, მ. ლომიძემ, ლ. ბუქურმა (ყველა — პროფკავშირების სპორტსაზოგადოება), მ. ლასარეიშვილმა („შრომითი რეზერვები"), დ. ხეცურიანმა (პროფკავშირების სპორტსაზოგადოება), გ. ბურდილაძემ („დინამო"), გ. ციციშვილმა, გ. ხუბაევმა, თ. ხუგიაშვილმა, პ. შავგულიძემ და ლ. ჯიმშელეიშვილმა (ყველა — პროფკავშირების სპორტსაზოგადოება).

**დავით მორგოშია.**



# ახლა ხარკოვის ყინულზე...

**როგორც** ცნობილია, ამას წინათ თბილისში გაიმართა ნორჩ ჰოკეისტთა რესპუბლიკური ტურნირი ალკკ ცენტრალური კომიტეტის კლუბის „ოქროს შაიბის" პრიზზე. ასპარეზობა თბილისის „მზიურის" (ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გუნდი) გამარჯვებით დამთავრდა, რომელმაც უფლება მოიპოვა „ოქროს შაიბის" საკავშირო ფინალურ ტურნირში გამოვიდეს ხარკოვში (1976-1977 წლებში დაბადებულნი).

— ნორჩ ქართველ ჰოკეისტთათვის ეს რიგით მეშვიდე საკავშირო სტარტია, — გვითხრა გუშინ გუნდის გამგზავრების წინ „მზიურის" მწვრთნელმა ომარ დონაძემ, — მანამდე ჩვენ, 1982 წლიდან მოყოლებული ვითამაშეთ პროკოპიევსკში (IX ადგილი), ტულაში (VI), ალმეტიევსკში (XII), იაროსლავლში (VIII), კიროვო-ჩეპეცკში (IX) და კუიბიშევში (IX). პირველ ორ შეჯიბრებაში თბილისის ოქტომბრის რაიონის გუნდი „პირველი მერცხალი" გამოდიოდა, 1984 წლიდან კი ამ ტურნირში „მზიური" ასპარეზობს. დღევანდელ შემადგენლობაში რესპუბლიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდიდან შვიდი ჰოკეისტი შევიყვანეთ — დათო ლილუაშვილი, ვალერი ლომჯანიძე, ილია დავიდოვი, ალეკო ენუქიძე, საშა მიქაძე, ბესიკ ბიძინაშვილი და დიტო ტოროშელიძე. ამ შემადგენლობას თბილისის მეორე გუნდიდან „ფიროსმანიდან" 10-11 წლის რამდენიმე ნორჩი მოთამაშე დაემატა — გოგი გოგოსაშვილი, პაატა მაჭავარიანი, გია ხერკელაძე, დათო ჯიმშელეიშვილი, ძმები ბარსონიძეები და სხვანი. ცხადია, „დიდი ყინულის" ახალბედებს საკავშირო ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლაში



მაინცდამაინც დიდი პრეტენზიები არა აქვთ, მით უფრო, რომ, როგორც იცით, თბილისში საციგურაო მოედნის უქონლობის გამო სულ ხუთიოდე ვარჯიში თუ ჩავატარეთ უკრაინის ანსამბლის „ბალეტი ყინულზე" გასტროლების დროს. ამიტომ ხარკოვში ძირითადად ბრძოლის გამოცდილების მისაღებად მივემგზავრებით. თუმცა, არც ის გვავიწყდება, რომ ჩვენს ჰოკეისტებს ადრე დამარცხებული ჰყავთ მინსკის (4:1), ტალინის (6:2), ერევნის (9:4), ლენინაკანის (7:2), კიროვაკინისა (5:2) და სხვა გუნდები.

**ოთარ ოთარაშვილი.**

* * *

**სურათზე: შეტევაზეა თბილისის „მზიური" — ვახტანგ ჯიბლაშვილი (წინა პლანზე) და ზაზა ჩიხლაძე.**

**თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.**



# „ფორმულა-1:" გუნდები, შემადგენლობები

**საავტომობილო** სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ფისა) 4 მარტს დაამტკიცა იმ გუნდების საბოლოო შემადგენლობები, რომლებიც „ფორმულა 1"-ის წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

1. „**ლოტუს კემელ ჰონდა**" — ნელსონ პიკე (ბრაზილია), სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია);
2. „**ტაირელ კოსვორტი**" — ჯონათან პალმერი, ჯულიან ბეილი (ორივე — დიდი ბრიტანეთი).
3. „**უილიამს-ჯადი**" — ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი), რიკარდო პატრეზე (იტალია);
4. „**ცაკსპიდი**" — პიერ-კარლო გინძანი (იტალია), ბერნდ შნაიდერი (გფრ);
5. „**მარლბორო-მაკლარენ-ჰონდა**" — ალენ პროსტი (საფრანგეთი), აირტონ სენა (ბრაზილია);
6. „**ა-გე-ეს კოსვორტი**" — ფილიპ სტრაიფი (საფრანგეთი);
7. „**მარჩ-ჯადი**" — მაურისიო გუჟელმანი (ბრაზილია), ივან კაპელი (იტალია);
8. „**ეროუს მეგატრონი**" — ედი ჩივერი (აშშ), დერკ უორვიკი (დიდი ბრიტანეთი);
9. „**ბენეტონ ფორდი**" — ალესანდრო ნანინი (იტალია), ტიერი ბუტსენი (ბელგია);
10. „**ოსელა ალფა-რომეო**" — ფრანკო ლარინი (იტალია);
11. „**რიალ კოსვორტი**" — ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია);
12. „**მინარდი კოსვორტი**" — ადრიან კამპოსი, ლუის პერეს-სალა (ორივე — ესპანეთი);
13. „**ლიჟიე ჟიტანეს ჯადი**" — რენე არნუ (საფრანგეთი), სტეფან იოჰანსონი (შვეცია);
14. „**ფერარი**" — მიქელე ალბორეტო (იტალია), გერჰარდ ბერგერი (ავსტრია);
15. „**ლოლა ლარუს კალმელსი**" — იანიკ დალმასი, ფილიპ ელიოტი (ორივე — საფრანგეთი);
16. „**კოლონი კოსვორტი**" — გაბრიელე ტარკვინი (იტალია);
17. „**ეურობრუნ კოსვორტი**" — ოსკარ ლარაური (არგენტინა), სტეფანო მოდენა (იტალია);
18. „**ვე-ემ-ეს დალარა კოსვორტი**" — ალექს გაფი (იტალია).

## „სპორტლოტო"

**კვირას**, 20 მარტს, გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, მეთორმეტე ტირაჟები.

„**სპორტლოტო 6 45"-დან:** 3 (ბობსლეი), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 32 (ფიგურული სრიალი), 35 (შაიბიანი ჰოკეი).

„**სპორტლოტო 5 36"-დან:** 1 (კალათბურთი), 6 (ძიუდო), 18 (მძლეოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

## „სპორტპროგნოზი"

**მე-12 ტირაჟის შედეგები (19-20 მარტი)**

**1—1, 2—1, 3—1, 4—2, 5—1, 6—1, 7—1, 8—2; 9—2, 10—1, 11—X, 12—1, 13—1.**

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## ცისფერ ეკრანზე

**ცენტრალური ტელევიზია. 22** მარტი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მხიარული სტარტები — **9.35 (1)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.35 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ჰოკეიში: „კრილია სოვეტოვი" — „სპარტაკი" — **21.05 (2)**; მესამე პერიოდის ტელერეპორტაჟი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 24 მარტს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:**

1. სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი — 0,5 ერთეული,
2. ფიზიოლოგიის კათედრის მასწავლებელი — 1 ერთეული,
3. სპორტული მედიცინის კათედრის უფროსი მასწავლებელი 1 ერთეული,
4. მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი — 1 ერთეული,
5. ფეხბურთის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული,
6. ცურვის კათედრის დოცენტი — 1 ერთეული,

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა.

ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კადრების განყოფილებაში. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 49. ტელეფონი 23-09-02.

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

**1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20   უე 01706**